

სტამბა და რედაქცია:

ბილინი, სისახლე ქუჩა, სამთავრო-  
აზნაურთა ქარვასი.

ბილინი-მომწონი ვაზის დასაკეთად მიმართენ  
ბილინი-მომწონი ვაზის დასაკეთად მიმართენ  
ბილინი-მომწონი ვაზის დასაკეთად მიმართენ

ბილინი-მომწონი ვაზის დასაკეთად მიმართენ

ბილინი-მომწონი ვაზის დასაკეთად მიმართენ

ტელეფონი № 363.

# ოთხშაბათი

ყოველ-ღლიური სახალხო გაზეთი

გაზეთის ფასები

ბილინი-მომწონი ვაზის დასაკეთად მიმართენ

ბილინი-მომწონი ვაზის დასაკეთად მიმართენ

ბილინი-მომწონი ვაზის დასაკეთად მიმართენ

ბილინი-მომწონი ვაზის დასაკეთად მიმართენ

ბილინი-მომწონი ვაზის დასაკეთად მიმართენ

„ცნობის პურელი“

თიფლისი, დვორცოვია ღ. დვორცოვია

ტელეფონი № 363.

რადგან 13 ამ თვისს დაწესდება

## წლიური საერთო კრება

კრებულთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელთა საზოგადოების წევრთა  
არ შესდგა, წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, ამი-  
ტომ, თანხმად საზოგადოების წესდების § 15, კრება ხელშეარედ და-  
წესდება

30 მაისისათვის, საღამოს 7 საათზე. ცხელისას სათავად-აწინაურთა  
ბანკის დარბაზში

განსახილველია შემდეგი საგნები:

- 1, წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედების 1897 წლის.
- 2, მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის შესახებ.
- 3, საგარეო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1898 წლისათვის.
- 4, არჩევანი საზოგადოების ახლის წევრებისა.
- 5, არჩევანი სარევიზიო კომისიის წევრთა.
- 6, არჩევანი საზოგადოების თავჯდომარისა და გამგებობის  
წევრთა.

## მოსამსახურეთა საყურადღებოდ

„თბილისის მოსამსახურეთა დამხმარებელი საზოგადოების“ კამი-  
თის სთხოვს უმორჩილესად ყველას, მობრძანდნენ და დაესწრნენ ამა  
საზოგადოების ახლად შემუშავებული წესდების განხილვის პარასკევს,  
22 მაისს, საღამოს 7 საათზედ „პურ-ღვინოში“, (გოლოვინსკზე, მუხ-  
რან-ბატონის სახლებში) საღამოს დაწესებული პირველი საზოგადო კრება.  
წესდების პროექტის შემუშავებელი კამისისა.

## საქველ-მოქმედო ბაზარი

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელთა საზოგადოების  
სასარგებლოდ დაწესდება 24 და 25 მაისს  
თავდასწინაურობის (არწრუნისეულ) ქარვასლის ბაღში.  
ვაჭრობა დაიწება დილის 10 საათზე და გათავდება საღამოს 10 საათ.  
ვაჭრობის დროს დაუკრავს მუსიკა.  
ბაღში შესასვლელი ბილეთი ღირს 20 კაპ.



### ვყიდულობ ცოცხლებად

კავკასიის გარეულ ცხოველებს  
არძებს, ჯიბურებს, გარეულ თხებს, შურთხებს,  
ჯახებს, გუფებს, ანჯებს, ანჯებს, ფაცხვებს,  
გარეულ ვარებს, ჯორ-ცხებს და სხ.  
საქირთა აგრეთვე გარეული ფრინვე-  
ლები; თურაჯები, ხობები, გარეული ბატები და სხვა.  
მსურველთ მიმართად პირადად ან წერილთ მიხედვით ქუჩაზე № 106,  
ქობა: ბანაძის სახ. **პუგო ვინლერს**  
თიფლისი, Михайловская, № 106, უგო ვინლერი. (12-12)

### უკალკების საფუძი ი. გ. მელიქივილისა


ცხელისა, სისახლეს ქ. სთავ. - აწ. სხლი № 102

ყოველთვის იმთავებ მრავალი სარისხის მხალერი  
ფასა ყველაფერზე აფთა

შალერი თითო ნაჭერი 8 კაპ. მოყოლებული 20 მანათამდე  
თან-დარბაზების მოსართავი და გასწოები სმაყულები.

#### Депю обоевъ И. Г. МЕЛИКОВА

თიფლისი, Дворцовая ул., д. Грузинскаго Дворянства (бывш. Аринуни)  
№ 102, около муз. магаз. ЛАНКО. (100 10)



აზრებელი რიცხვი  
**საპირაპი  
მაშინე-  
ბისა**

ყოველგვარი სისტემისა და ყოველგვარი ხარისხისა, როგორც საშინა  
ოდ ოჯახში სახმარებლად, აგრეთვე სხვა-და-სხვა სახელოსნობებისათვის  
პირველ ხარისხისა და სავაჭრო

## ველოსიპედები

(თავი-მავალად)

ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის ქარხნებიდან  
ყველაფერი იყიდება შეღავათიანად ფასით  
ფასსა გადახდა ნაწილ-ნაწილად შეიძლება  
ყველაფერი, რაც-კი ამ საეჭრო სახლიდან ვაიყი-  
დებო, მკვიდრი რე მავარი, რაშია ც სრული თავდებობაა

### Торговый Домъ С. П. Павлова и К-о

თიფლისი, ლორ.-მელიკოვსკია უღ. № 6, противъ Правосл. Семин

Богатѣйшій выборъ  
**Швейныхъ машинокъ  
и  
ВЕЛОСИПЕДОВЪ**  
(100 - 27)



ქართული თეატრი  
ოთხშაბათს, 27 მაისს  
მელიქონ ბალანჩივაძე  
გამართავს

## კონცერტს

ალსრულელთა იქნება სხვა-და-სხვა  
ახალი სიმღერები და რომანსები  
ბ-ნ ბალანჩივაძის მიერ შედგენილი.  
სხვათა შორის შესრულებენ ერთს  
სცენას ოპერას შესაძე მოქმედებიდან

### თამარ ცხიპრი

და ჭამია

სამშობლო სვესურისა  
მუსიკა მ. ბალანჩივაძისა  
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი სა-  
რჯიშვილისა, ბ-ნი კარგარეთელი,  
ქალთა და ვაჟთა ხორო.  
ხორო და ორკესტრი მ. ბალანჩივა-  
ძის ლოტბარობით.

ადგილებს ფასა ჩვეულებრივად  
დასაწყისი 8 1/2 სანთზე

გამოვიდა და იყიდება  
გაზეთ „ცნობის ფურცლის“ გამოცემა

### სპარსეთის ეფე ქართველი ტყვე

ბოემა

თავ. ვაჭარ დადანიანსა  
ფასი 2 კაპ.

ასი ცალი იყიდება 1 მ. 40 კ.  
ორასი — — 2 მ. 50 კ.  
სამასი — — 3 მ. 60 კ.

მსურველნი მიმართავენ „ცნობის ფუ-  
რცლის“ რედაქციას.

### ბანიპრა და დაფასება

ტვიან მძულებისა

### დაფასება

სამეურნეო შემოსავლისა  
მძულის ვეკმის შედგენას და სხ.  
კისრულობს აღქმა გრაგალის მე  
სნაშაპოვი, ლაბორატორიის ქუჩა  
№ 26.

Алексѣй Григоріевичъ Снѣжковъ,  
Лабораторная, № 26. (50-20)

სამეურნეო და ამბულატორია

### ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამეურნეოში 50 საწოლია ავად-  
მყოფთათვის. მიიღებენ ავადმყოფ-  
ნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურ-  
გო, თვალისა და დედათა ავადმო-  
ფობისა.

გადამღებ სენით ავადმყოფთა არ მი-  
იღებენ:

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11  
საათიდან ნაშუადღევს 3 საა-

თამდე. შინაგან და ნერვების ავად-  
მყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურიასი**. საქირურგო ავადმყოფობას  
და სიფილისის **ფ. ბ. ვაჩაბაძე**.  
დღეათა ავადმყოფობას მკურნალი  
ქალი **მ. თ. კოზანი**.  
20 მაისიდან — დღეათა ავადმყოფო-  
ბის და აკუსერობის **Д-р Ф. ბა-  
ცაშიანი**.

თვალის ავადმყოფობას — **ი. ბ. ვარაზიანი**.

ამბულატორიაში არის კაბინეტი,  
საქირურგო და საბაქტერიოლოგიო  
გამოკვლევებისათვის, ელექტრონით  
წამლობისათვის და საქისთვის.  
სამეურნეო დირექტორი **ს. ბ. თოფურიასი**.

*Львѣнница С. В. Тонурія въ Кутаисѣ.*

### ქანონი და მთავრობის გან- კარგულება

გობათ სმსხურის წელთა შესრუ-  
ლებისა ვამო სტატუსი სოფეტნიკობა  
— კავკასიის მთავრობისათვის სავა-  
ჭრო საქმეთა მოხელეს, კერძო მკურნელს  
თავად მელიქიშვილს; ვალეუსკა რე-  
გისტრატობას: ქუთაისის გუბ. შო-  
რანის მაზრის მუარე ნაწილის მიმ-  
რეკულ შუამდგომის თანამდებობის აღ-  
მასრულებელს, თავად დადიშვილიანს  
და ბათუმის ქალაქის ზოგიჯის ბო-  
ქაქულის თანამდებობის აღმასრულებელს  
მეფისაშვილს.


დანიშნულ იქმნენ დროებით კანის  
ნაწილის უფროსის თანამდებობის აღ-  
მასრულებელი, შტაბსკაპიტანი გველე-  
სიანი — ზაქათაის ოქაის უფროსის  
უმცროს თანამდებობის თანამდებობის აღ-  
მასრულებელად და ქმშიაძის მაზრის  
ბოქაქულის თანამდებობის აღმასრულებ-  
ელი ზორუჩიკა მანსვეტოვი — ზაქათა-  
ლის ოქაის კასო-მუსხის ნაწილის  
უფროსის თანამდებობის აღმასრულებ-  
ელად.

### ახალი ამბავი

\* \* \* მ ბალანჩივაძის კონცერტი  
გამართული იქნება ამ თვის 27.  
როგორც დღევანდელი განცხადე-  
ბიდან სჩანს, კონცერტში პირვე-  
ლად შესრულებული იქნება ახალ-  
გაზდა კომპოზიტორის ახალი ოპე-  
რიდან „თამარ-ცხიპრიდან“ ერთი  
სცენა, რომელიც წელს პეტერბუ-  
რში იყო დადგმული ქართულ  
სალამოზე და რომელიც ძალიან  
მოეწონა იქაურ საზოგადოებას და  
მწერლობასაც.

\* \* \* ახლად დასმულკობა. სენა-  
ვის განყოფილებლის ხარკის ამკრფე  
ინსპექტორად დანიშნულია ბ. პრო-  
ტოპოვი; სოხუმის სატყეო რა-  
იონის ტყის მცველად — ბ. ავგუს-  
ტოვინი.

— გადაყვანილ იქმნენ: ხარკის



ამკრეფ ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებელი: ბარანოვსკი ქ. ტფილისის პირველსა და რიდინი მეორე განყოფილებაში, წერეთელი - ბათუმის განყოფილებაში და საგურამოს ტყის მცველი - შამშიაძლის სატყეო რაიონში.

**\* \* \* სამკურნეო სადგურის აღდგენა.** მიწად მოქმედების მინისტრის რწმუნებული ი. ს. მედვედვი, კავკასიის მეურნეობის ინსპექტორი ვ. ნ. გვესკი და აგრონომები ტარატინოვი და ტიუხევი მაისის 24 სა და 27-ს შუა განმეზღვრებიან ქ. სოხუმს რომ ადგილობრივ განხილონ კიბეა სოხუმისა და სოკის სამეურნეო საცდელ სადგურთა შემდგომი მოქმედების შესახებ.

**\* \* \* გორას რკინის ხაზის გაშენება.** 16 მაისს მთავარ-მართებლის საბჭომ დაადგინა გადადებული იქმნეს კრედიტი გორის რკინის ხიდის შესამაგრებლად.

**\* \* \* ქალაქის ქანხანა ტფილისში.** როგორც იხმის, ბაქოს ნავთის მწარმოებელი ბ. თუმავეი და სხ. აარსებენ ტფილისში პირველს ქალაქის ქანხანას კავკასიაში.

**\* \* \* კურსის დასამთავრებელი კონსტრუქციები.** ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორმა აცნობა ქალაქის სამასწავლებლო კომისიის თავმჯდომარეს, რომ კურს-დასამთავრებელი ეგზამენები ქალაქის სასწავლებელთა მოწაფეთათვის, რომელთაც ქალაქი იწახავს, დანიშნულია 26, 27 და 28 მაისს.

**\* \* \* ახალგაზდა კაცა, ბანი** ორლოვსკის შვილი გუშინ დილის 11 საათზედ იპოვნეს სათავად-აზნაურო ქარვასლის ფეხის ადგილში მკვდარი და მაშინავე მიხეილის საავადმყოფოში წაიღეს.

**\* \* \* რკინის გზის სამმართველოს შეხება.** გადაწყვეტილია, რომ გადადებული იქმნეს ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს შენობა. ამ მოკლე ხანში რკინის გზის გამგეობა შეუდგება შენობაზე ახალი კედლების მიშენებას ორ მხარეზე (ელისაბედისა და ნიკოლოზის ქუჩების პირდაპირ). შენობის ასეთი გადიდებისათვის გადადებულია 40,000 მან.

**\* \* \* მე-2 კავკასიის საშენის ბატალიონი** გადის ტფილისიდან საბანაკოდ სოფ. თიონეთს 29 მაისს.

**\* \* \* შემთხვევების დათვლა.** გუბერნიაში. აპრილის პირველ ნახევრის განმავლობაში ტფილისის გუბერნიაში მრამდარა 11 მკვლელობა, 3 თავის მოკლა, 5 უბედური შემთხვევა სიკვდილით, 1 ქურდობა, უნახავთ 4 მკვლარი და 5 მიგდებული ბავშვი.

**\* \* \* კონსტრუქციის რეალურ სასწავლებელთა.** რეალურ სასწავლებლის ს.ლ. მე-III და მე-IV კლასებში შესასვლელი ეგზამენები და აგრეთვე იმათი ეგზამენები, რომელთაც სტროგოვიჩის სახელით მოწოდებენ.

მოწოდების მისაღებად ამა თუ იმ კლასის კურსის ჯეროვანი ცოდნის შესახებ, დაიწყება 1898 წ. 20 მაისიდან იმ წესით, რომელიც სასწავლებლის კედელზეა გამოცხადებული. თხოვნებს ყველა საქირო საბუთის ქალაქდებით მიიღებს სასწავლებლის დირექტორი 20 მაისამდე, ყოველ დღე კვირა-უქმის გარდა.

**\* \* \* ტყუალა თავადა.** სიმფეროპოლში დაუქვერიათ ერთი ვაგებატონი, რომელსაც, თურმე, თავი მოჰქონდა უბრწყინვალეს თავადად აღიქვანდრე გრუზინსკად. მის სკივრებში უნახავთ მრავალი საეჭვო საბუთის ქალაქი, სხვა და სხვა პირთა საცხოვრებელი ბილეთები, ყალბი ბეჭედი და ფრხვილი, რომელიც თავის წამალი აღმოჩენილა გამოკვლევის შემდეგ. საბუთებიდან შეიძლება იმის დასკვნა, რომ ტყუილი თავ. გრუზინსკი არის მეშინინი სტეფანოვი, მაგრამ მისი გარეგანი მორთულობა და ფრანგულისა, ნემცურისა და ინგლისურ ენებზე თავისუფალი ლაპარაკი ამტკიცებს მის კარგ აღზრდას. იგი გადაქრით აცხადებს უარს რაიმე ჩვენების მიცემაზე და მხოლოდ იმას ამბობს, მალე დედ-მამა მომივა და ყველანი გაიგებთ, ვინცა ვარო.

**\* \* \* ქართველ ქალთა ამხანაგობის დადგენა.** 1) სამკერვალოსთან ერთად გახსნას პატარა სავაჭრო განყოფილება ყოველგვარ წვრილმანი მასალისა; 2) იქონიოს გასასყიდად ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხიდან საკომისიოდ მიღებული ქსოვილები და სხვა გვარი ხელ-საქმე; 3) სამკერვალოში გამართულ იქმნას სარეცხის საკერი განყოფილება და 4) გამართულ იქნას ძველებური ქართული ხელ-საქმის განყოფილება.

**\* \* \* ერთი უკეთურა საქრეულის გამო.** ბ-ნო რედაქტორო! თქვენს პატივცემულ გაზეთ „ცნობის ფურცელში“ № 530, ამოვიკითხე განცხადება ჩემს სახელზე; ვითომც მე ვაცხადებდე, რომ სოფლის სუდებში ვიცავ საქმეებს და ვისაც საქმე აქვს ვიწვევდე ჩემს სახლში მოსალაპარაკებლად. რადგან პირადად თქვენთან არავითარი მტრობა არ მქონია და ვგონებ არც-კი მიცნობდეთ, დარწმუნებული ვარ თქვენ არასფერს სამტროს ჩაიდენდით. უსათუოდ ზნეობით დაცემულმა ჩემმა მტრებმა შეადგინეს ყალბი წერილი და გაგზავნეს რედაქციაში. ვითომც მე გწერდეთ თქვენ და გთხოვდეთ ამ გვარი განცხადების დასტამბვას, და მით მოატყუეს რედაქცია, და დაბეჭდვინეს ყალბი განცხადება. უმოჩრჩილესად გთხოვ, ბ-ნო რედაქტორო, მასობელ ნომერში მისცეთ ამ ჩემს წერილს ადგილი, რომ ეს განცხადება მე არ გამოგზავნია რედაქციაში და არის ყალბი, შედგარი მტრებისაგან სიყალბით. ეს სულით დაცემული ჩემი მტერი, თუმცა კანონის წინაშე ნიღაბს იფარებს, თორემ ჩვენში ყველამ იცნა ვინ ჩაიდენს ამ გვარ სიყალბეს. დეე! იყალბოს რამდენიც უნდა, იარაგს ნიღაბ ჩამოფარებული! მოვა დრო, გამოიკნობ

ბენ მის ნამოქმედარს; ამ გვარის სიყალბით ვერ მომაცხებენ ჩირქს საზოგადოების თვალში\*) გრიგოლ ჩანავა

**ფაქტობის განმარტება.** აღდგომის კვირას ჩვენ მივიღეთ ბ-ნი ს. ქ. ვაყელი-საგან ოდესიდან განცხადება და ერთი თუმანი ფული განცხადება უნდა დაგვებეჭდა და რაც გადაჩემოდა, გადაგვეცა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის. ხოლო რადგან იმ ხანებში რედაქცია გადმოგვქონდა ახალს სადგომში, ამიტომ განცხადების დაბეჭდა დაგვიწყებოდა. ცოტა ხნის შემდეგ ეს გარემოება განსობეთ ვაყელს, რომელმაც ეხლა წერილი შეგვაცხადებდა, რომ ხსენებული ფული გადავეცეთ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რასაც ვასრულებთ სიამოვნებით. ფული ვაღვეცა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მდივანს ბ-ნ დ. კარიჭაშვილს.

**\* \* \* მ. ნოვოროსისისკი** (ჩერნომორია) საოცარა მკვლელია. სამწუხარო ამბავი უნდა ვაუწყო მკითხველებს. 15 ამა თვისას ნაშუადღევს ხუთ საათზედ ქ. ნოვოროსისკში გემ დიდ-მათავრინა „ქსენია“-ზედ სასიკვდილოთ დასჯრეს ოდესის „რუსეთის საზოგადოების“ იჯარაღარი ალექსანდრე ნიკოლაიშვილი. მკვლელი ნესტორ გიტოსძე კუტუბიძეა. მკვლელობა თათრული დანა დაპკრა მარცხენა ფერდში! დაქრილს პირველი შემწეობა ექიმისა ბახტაძემ აღმოუჩინა. ქრილობა საშიშარი აღმოჩნდა. დანას თერთმეტი სანტიმეტრი გაუვლია მუცელში, გაქრა ტელიპი და ნაწლავები, რის გამოც მხოლოდ 18 საათილა იცოცხლა. მკვლელი იქვე შეპყრობილი იქმნა გემის მოსამსახურე მატროსებისაგან. მოკლულის ჩამოდანში აღმოჩნდა 2, 800 მან. ფული, 8 ბილეთები შინაგან სესხისა 5% 6,000 მან. ვექსილები სხვა და სხვა პირზედ გასესხებული და სხ. წვრილმანები.

როცა მკვლელს შევეკითხე, თუ რამ აიძულა ასეთი სასტიკი საქმე ჩაეღინა? ასე მითხრა: „რა მექნა ბატონო, მაგასთან ოდესაში ერთი წელიწადი ვიმსახურე და ოთხი თვის ჯამაგირი წამართვაო, როცა ხვეწნა დაუწყე, მოეცა ჩემი ხვედარი მიმბერტყა და მიმავლო, უჩივლე, მაგრამ ზოგჯერ უწყება არ ჩაიბარა, ხან არ დავსწრო და ხან რა!.. მე კი შიშლით მუცელი მეწოდა. გადავსწყვეტე ამ ტანჯულ სიკოცხლეს სიკვდილი სჯობს მე-თქი, ავდექ და წამოვედი; მის სახლში უნდა მივსულიყავ და იქ მომეკლა, მხოლოდ ბედზედ აქ შემხვდაო!..“

ხოლო როცა დაქრილს უთხარი შენ მისთვის (მკვლელისთვის) ოთხის თვის ჯამაგირი არ მოგიცია და წაგირთმევია-მეთქი, მან (ნიკოლაიშვილმა) მითხრა: „მას ვბეჭდეთ რა ამ წერილს, არ შეგვიძლიან გულის წყრობით და თან მწუხარებით არ აღვნიშნათ ესეთი ყოველად უგავნი საქციელი. ჩვენ მივიღეთ მანათი ფული და განცხადება წერილითურთ, რომ გამოგზავნილი განცხადება ორჯერ დაგვებეჭდა და დავებეჭდეთ კიდევ; ხოლო ვინ იფიქრებდა, რომ მე ვანცხადებ ყალბი იქნება, გამოვწყვედი მდებარის გრძობით და გულწრფელობით. ჩვენ ბოლშის ვიხდით ბ-ნ ჩანავასთან უნებლიედ შეურაცყოფისთვის, ხოლო იმ ვაჟბატონს, რომელიც უბეჭდეს ატარებს მუხობის დასარტყელად, ვეთვლით დამსახურებულ ხაზს.

ერთი კაპეიკი არც ერგებოდა ჩემგან, რაც იმსახურა სრულიადაც მივეცი, მისგან მიღებული კვიტანციაც მაქვსო. მე რე დასძინა: ეს სულ სხვა მიზეზია, ალბათ, ის ბრძვივი ჩემმა მტრებმა მოისყიდეს და ჩემი თავი მოაკვლევინესო.“ ასეა თუ ისე ბედკრული ნიკოლაიშვილი კი ვაპოასალმეს წუთისოფელს, ხოლო ისიც ექვს გარეშეა რომ მკვლელსაც კული დღე შეა რომ მკვლელსაც კული დღე დაადგება...

**\* \* \* შუთაისი.** საჭარო განმარტება. ბ-ნო რედაქტორო! მე მაინცა და მაინც მკითხველი კაცი არ გახლავარ, ამიტომაც ასე გვიან შევეტყვე, რომ ბ. იონა მეუნარგიას ჩემი სახელი მოუთავსებია თ. მამია გურიელის ბიოგრაფიაში. დიდი მადლობელი ვიქნებოდი ბ. მეუნარგიას ამ პატივის ცემისათვის, თუ რომ ამბავი ისე დაეწერა, როგორც იყო და არ შეეცვალა სრულებით. მაგალითად, ბ. მეუნარგია ბრძანებს: ვითომ მე მივსულიყო მამია გურიელთან და ვალი მომეთხოვოს, რაზედაც შევიწროებულს—გაქირვებით ერთი მოსწრებული სიტყვა ეთქვას. ეს ამბავი სიმართლეს მოკლებულია. მ. გურიელს ჩემი ვალი არ მართებია. წინააღმდეგ დრო იყო, რომ „კანცემში“ აბაზების მაგიერ თუქმინანებს მიგდებდა და კიდევ ეხუმრებოდა სხვებს: „მელია აბაზიანი ქუჩერი არ გახლავსო“. მაშასადამე, ბოლოს, როცა ისე გადასყარი ფულები აღარ მქონდა, რომ კიდევ მართებოდა ჩემი მას რამე, ისეთი ურიგო კაცი რათ ვიქნებოდი მე, რომ ამისთანა ჩემ მწყალობელ კაცს, მოვალეთ შეუვარდებოდი სახლში და შევაწუხებდი?! ასე კი არ გახლდათ; აი როგორ იყო ნამდვილათ: ერთხელ, როცა ყველანი თეატრში მიდიოდნენ, მამიაც გამობრძანდა ტროტუარზე სასტუმროს წინ, (თურმე ტყუილია გასახედავად და მე კი მეგონა თეატრში ნებაადა წაბრძანება), მივაგდე ჩვეულბერივად „ფაეტონი“ მასთან. მან შემომხედა და სიცილით მითხრა: „შენ რომ გინდა მელია, მე ის შამომელია“-ო. ე. ი. შენ რომ ჩემგან თუმნიანების მიჩვეული ხარ, ისე აღარ მაქვს ჯიბე ეხლოა. მეც ვავიგე მისი გულის პასუხი და მოვახსენე: „უშისოთაც მზადა ვარ თქვენს სამსახურისა მეთქი“. დიმილით მადლობის ნიშნად თავი დამიქნია და შებრუნდა ისევ სასტუმროში. ამ ფაქტსა და ბ. მეუნარგიას მოხსენებულ ამბავში, რადგანაც დიდი განსხვავება არის, ამისათვის გთხოვთ, ბ-ნო რედაქტორო, სიმართლის აღსადგენათ თქვენს პატივცემულ გაზ. „ცნობის ფურცლის“ ნომერში დამიბეჭდოთ ეს ჩემი წერილი.

დაც ქვემო მოყვანილი ამბავი მოხდა), მწყემსობის დანიშნული ქვემოში გახვეული რაოაც კაცობის საგანი, რომელიც, როგორც შევემსებმა გვიამბეს, ცალ ფეხს აქვედაო და კატის კნუტივით ჩხაოდაო; შემინებულ მწყემსებს დაეყვირათ: „არიქა ქინკაო“ და ქვები დაეშინათ; ზოგი მათგანი კი სოფელში გაქცეულიყო და შეეტყობინებიათ სოფლისთვის, აგრეთვე ეცნობებიათ ადგილობრივ მღვდლისთვის, რომელიც დაუყოვნებლივ მაუწყებლებთ გაჰყვა. მთელი სოფელი შესძრა ამ ამბავმა, ყველა, დიდი თუ პატარა სანახავად გაეშურა. მივიდნენ, გახსნეს ტომარა, მაგრამ მისთანა თქვენს მტერს, რაც იმათ დანახეს, ტომარაში ყოფილა ახლად დაბადებული ბავშვი, რომელიც მწყემსებს ქვებით მოეკლათ, რადგანაც ქინკა ჰგონებოდათ. ამ ამბის გამო მამა ბლაღოჩინმა ჯეროვანი განკარგულება მოახდინა თავის მრევლში, ე. ი. კვაცხუთში, მაგრამ ბოროტების ჩამდენი მაინც ვერ აღმოაჩინეს ჯერ-ჯერობით.

**\* \* \* ს. ძონძირი** (სამეგრელო). მამას მოკვლა. ამ თვის პირველ რიცხვებში სოფ. ძონძირში ერთი არაჩვეულებრივი და სამწუხარო ამბავი მოხდა. ამავე სოფლის ერთს ღრმად მოხუცებულს კაცს მისმა შვილმა თავში წალღის ყუა დაჰკრა, რაც ძალიდა ღონე მქონდა. საწყალი მოხუცებული კაცი იმავე წამს უსულოდ მიწაზედ დაეცა. საბრალოს ისე მაგრად მქონდა დატყეპული, რომ მაშინვე პირიდან სისხლის ლებინება დაწყებინა. იქამდის არ შესწყდა სისხლის დენა, ვიდრე არ მიიცივალა. თავი ისე გასიებოდა, რომ კაცი ვერ იცნობდა, ადამიანი იყო თუ არა. საბრალოს რის ტანჯვა წვალებით ერთ კვირას ედგა სული და შემდეგ გარდაიცვალა. შვილი საღდაც გაჰქრა. ეს ამბავი ადგილობრივს პოლიციას შეატყობინეს. პოლიცია უკვე მოვიდა, ოქმი შეადგინა და დამნაშავის აღმოჩენას შეუდგნენ, მაგრამ ჯერ ვერ უპოვნიათ. („ივ.“)

**\* \* \* ს. ჯაბანი** (იმერეთი). კვლესიას გაღვანის გამო. 12 მაისს, საღამოს 8 საათზედ, აქ მობრძა და მისი შეუფხება მმართველი იქსრეთის ეპარქიის ალავერდის ეპისკოპოზი ბესარიონი რევიზიის მოსახდენათ. ღვთისმშობლის შტატის მკვლესიაში და მის გაღვანში მოუთმენლად ელოდნენ ეპისკოპოზს ჯაგანის მთელი საზოგადოება და აქაური სამინისტრო სკოლის მოსწავლეები მასწავლებლითურთ უპანასკნელის თხოვნით ყოველად სამღვდლომ კეთილ ინება და აკურთხა მოწაფეები. კარგი ხანია აქაური შტატის ეკლესიისთვის სკდილობენ ქვის გაღვანის გაკეთებას, მაგრამ დღემდე ეს საქმე არ დაბოლოვდა, რადგანაც ზედ მიწერილი ეკლესიების ამშენებლები და შემავალნი არ ეხმარებიან შტატის ეკლესიის შემავალთ და ამბობენ, რომ იმათ თავიანთი საკუთარი „სახარებები“ (ზედმიწერილი ეკლესია) შენახვა ექნათ.

**\* \* \* ს. კვაცხუთი** (რაჭა). ჭანჭანებიათ. 25 აპრილს, სოფ. კვაცხუთში მოხდა სამწუხარო ამბავი. დილით ადრე მწყემსები პირუტყვებს მიერეკებოდნენ მინდორზედ საძოვრად. როდესაც მწყემსებმა მიადწიეს ბურჯანფულის დეღეს (ასე ეძახიან იმ ალივს, სა-

მეკლესიას რომ მივემხროთ  
შეძლება სადა გვაქვსო. ეს  
აუცილებელი მოახსენეს მათ მეუფე-  
ეპისკოპოს ბესარიონს, რომე-  
მეკლესიის შემავალთ შტატის ეკ-  
ლესიის გალაგების გაკეთებაში და-  
სახელების აღმოჩენა და წინააღმდეგ  
დახმარებაში მათი ზედ-მიწერილი  
დასმის დაკეტვა. ამის შემდეგ  
სადაღიანებო, რომ ჭაგის საზო-  
გადოება ერთობით მალე შეუდგე-  
ოდნენ გაკეთებას, რაც იმ-  
ათ საძნელო არ არის აქაურე-  
ბისთვის, როგორც ესენი აზვი-  
ან საქმეს.

ამანდა. დიდი ზამთრის და  
ზამთრი გაზაფხულის გამტარე-  
ბით არ გვექონდა იმედი კარგი  
დღეების დანახვის, მაგრამ ახლა  
გვერდს გადააქარბა ბრწყინვალე  
მშრალ დღეებმა, რის შემდეგ  
გოლვის გამო ხვდა შეუძლე-  
ბი შეიქნა. ასე რომ წრეულ  
დღეები ძლიერ დაგვიანებული არის.

ეკლ. ჭარბობა და ხველა. ყვე-  
ზემოსხენებული მიზეზები უმ-  
ნიჭეს. ითვლებიან იმ გასა-  
ბიან, რომელიც მიყენებული  
ზოგიერთ არველამების და მა-  
გალიტების ოჯახებს ხველა და  
ბუკირებისაგან, რომელიც ზო-  
მერთ ბავშვებს ერთად მოჰქიდეს  
ლო და ორი-სამი მათგანი კიდევ  
ხვებოლა. მეტად საშუალო შე-  
ნა აქაური საზოგადო სკოლის  
სწავლე მანჯგალაძის გარდაცვა-  
ბა, რომელიც შესამჩნევი ნი-  
შა და ზედ-მიწვენი ბეჯითო-  
ბილი იმედს იძლეოდა სასარ-  
გებლო კაცად გახდომისა.

სასურველია, რომ ყურადღება  
შევიქცოდეს ვისგანაც შესაძლოა  
სენის გაქარწყლებას, მით უმე-  
ნეს, რომ სხვათა შორის ერთ ათ-  
რთმეტის წლის ბავშვს ყელქირ-  
ბა და ხველა ერთად სჭირს, რი-  
გამო საწყალი მეტად გაჭირვებულ  
გოგონებშია.

ჭარბობის ზარა და ხეხა-  
ბურს ჯერ-ჯერობით კარგი პი-  
უჩანს და იმედიცა გვაქვს, რომ  
არაფერი გაუჭირდა. სამინდი  
დაგვიანებულია და ჯერ მასზედ  
დაფერი ითქმის საიმედო. მსხალი  
ლიან ცოტა ასხია და უმეტესი  
ქილი მსხლის ხისა ცალიერია.

გვიერთო ვაშლი თავზედ საყ-  
ლათ იქნეს მგონი, ჯერ იმდენი  
გვენახის ვაშები, რომელიც  
და არა ჩვეულებრივ ყინვებს  
შარისად სავესეა მოსხმული ყუ-  
ნის მტყუნებით.

ქია  
ლია ზავჯავახის სიტყვა მი-  
ბითული ვისკოპოსის ალექ-  
სანდრესადმი

„თქვენა ყოვლად უსამღველო-  
ბაჲ! მე ვბედავ თქვენს წინაშე  
ამოღებას დღევანდელ დღეს  
იმისთვის, რომ თქვენ ჩემს  
და-ლიდებას მსაქირობედით. თქვე-  
ნი საქმენი, თქვენი ღვაწლ-მოსი-  
ნი სიცოცხლე ჩემზე უკეთესად  
დაიდებს თქვენს ქებასა და დი-  
სასა და ჩემი თქმა არას მოუმა-  
ნის თქვენს სათნოებით მოპოე-  
ბის სახელსა.

ნამეტანობაში ნუ ჩამოშრთ-  
თ წმიდით ვიტყვი,

რომ სჩანს ღმერთს კიდევ არ და-  
ვიწყებებართ, რადგანაც თქვენის-  
თანა სათნოებიან კაცს მოუვლენს  
ხოლმე ჩვენს ქვეყანასა და რაკი  
თქვენისთანაებსა ვხედავთ, გულს  
კვლავ ერჩის წუთი-სოფელისაგან  
ლონგი-მიხილილი სასოება და წუთი-  
სოფელისაგანვე გამქრალი იმედი  
უკეთესის დღეებისა. ულონობა  
ქვეყნისა მარტო უფულობა და  
უქონლობა კი არ არის, როგორც  
ეხლო-ბევრსა ჰგონია, არამედ, უფ-  
რო ისა, როცა სათნოებიანი, კე-  
თილ-მოქმედი, მაღალ-ზნეობის კა-  
ცი არა ჰყავს. სიმავრე ქვეყნისა,  
ქვეყნის ძალ-ლონე, ერის შემნახ-  
ველი და გამდიდრებელი ქვეყარი  
ადამიანის ცხოვრებისა მარტო სათ-  
ნობაა და მარტო სათნოებიანი  
კაცი ჰქმნის ამ წუთის-სოფელს  
ტაძრად, სადაც ღმერთს აღიდებენ,  
და სამოთხედ, საცა ბედნიერება  
ადამიანისა მსადგურობს.

„თქვენის ცხოვრების წმიდათა-  
წმიდად ორი დიდი საგანია: ერთი  
ღმერთი და მეორე თქვენი სამ-  
შობლო ქვეყანა. ღმერთს ღმრთი-  
სას აღმევლით, ქვეყანას ქვეყნისას  
და ორსავ ემსახურებოდით ერთ-  
მანეთის დაუკლისად გულმხურვა-  
ლებით და სიყვარულითა. ერთი  
წუთიც არ ვიცი თქვენის სიცოცხ-  
ლისა, რომ ცხოველყოფილი მუქი  
ამ ორკვე სიყვარულისა არ მიჰ-  
ფენოდეს თვითვეულს თქვენს საქ-  
მეს, თვითვეულს თქვენს მოქმედე-  
ბას. ქვეყანას ემსახურებოდით ღმრ-  
თისათვის და ღმერთს აღიდებდით  
ქვეყნისათვის, რადგანაც ღმერთი  
არის სიყვარული და სიყვარული  
ახსენელია ქვეყნისა.

„თქვენი სიცოცხლე მთელი და  
განუწყვეტელი სათნობაა, სათ-  
ნობა, რომლის მაგალითს მარტო  
იმ მაღლით ცხებულ მღვდელ-მო-  
ნაზნების შორის ვბოულობთ, რო-  
მელიც ერთს დროს ყოფილან  
ჩვენში ჩვენდა საბედნიეროდ და  
ეხლა, ჩვენდა საუბედუროდ, აღარ  
არაიან. თქვენ ხორცი დაუმორჩი-  
ლეთ სულსა და ერთი უდიდესი  
სათნობაც ეს არის. გშობდათ და  
არა სქამდით, გწყუროდეთ და არა  
სვამდით, გციოდეთ და არა თბე-  
ბოდით იმისთვის კი არა, რომ ვი-  
თარცა ანგარმა და ძუნწმა ვერცხ-  
ლი და ოქრო მოიხვეჭათ, არამედ  
იმისთვის, რომ რაც საკუთრად  
თქვენის თავისთვის არ გემეტებო-  
დათ, რასაც თქვენს თავს აკლებ-  
დით, ის სხვას შეჰმატათ, სამად-  
ლოდ, საქვეყნოდ გასცეთ, თქვენს  
სამშობლოს მოახმარათ. მართალი  
უთქვამს, ვინცა სთქვა, რომ ორ-  
ნაირი სათნობაა ქვეყანაზე ადა-  
მიანის ღირსების აღმნიშვნელი:  
ერთი უქმი, რომელსაც მოსდევს  
არა ქმნა ბოროტისა, მეორე მოქ-  
მედი, რომელსაც მოსდევს ქმნა  
კეთილისა. პირველი მადენი ვე-  
რაფერი ღვაწლია. სადიდებელი  
კაცისა მეორე სათნობაა და ამის-  
თანა სათნობის პატრონი თქვენა  
ბრძანდებით.

„თქვენ აღვიდგინეთ ჩვენნი და-  
ვიწყებულნი წმიდანნი შიო მღვი-  
მელი და იოანე ზედაზნელი.  
სხვამ რაც უნდა სთქვას და ჩემის  
ფიქრით კი კაცი ის არის, ვისაც  
გულითადი რწმენა რისამე აქვს  
ქვეყნის საკეთილოდ მის მიერ აღი-  
არებული და იმ რწმენას ემსახუ-

რება თავ-დადებით. თქვენ გწამთ,  
რომ ადამიანის მხსნელი, მისი  
რჯული და სარწმუნოებაა და ამ  
გზაზე ღვაწლ-მოსილობისათვის არა  
დაგიზოგიათ-რა. ამისდა მოწმად  
თქვენ მიერ აღდგენილი მონასტ-  
რებია, ეს ნაშთი ჩვენის სულიერ-  
ად ზე-აღსავლობისა. აქ მეტია  
თვითვეულის თქვენის ღვაწლის ჩა-  
მოთვლა და მარტო ამას ვიტყვი,  
რომ თქვენი მაღლით ცხებული  
მარჯვენა ყველგან მიგიწვდენიათ,  
საცა კი თქვენის ქვეყნის, თქვენის  
ერის საკეთილოდ საქმე რამ აჩე-  
ნილა. არ არის არც ერთი საერ-  
თო საქველ-მოქმედო საქმე ქართ-  
ველობისა, რომ თქვენი უხვი წვლი-  
ლი არ ერიოს, თქვენი ლოცვა-  
კურთხევა წინ არ უძღვოდეს, თავს  
არ დასტრიალებდეს.

„მარტო ისიც საკმარისია თქვე-  
ნის სახელის მაღლობით ხსენები-  
სათვის, რომ თქვენის მეოხებით,  
თქვენის ღვაწლით, თქვენის მამობ-  
რიულ სიყვარულით გაუზარდეთ  
ჩვენს ქვეყანას იმისთანა შვილი,  
როგორიც ახლად ნაკურთხი ეპის-  
კოპოზი ლეონიდეა. ჩვენ კაცებით  
ღარბინი ვართ და ჩვენთვის თქვენ-  
გან ვაზრდილი, თქვენის მაგალი-  
თით გაწურთილი, თქვენის სუ-  
ლისა და გულის თანამოხიარე გან-  
ძია, საუნჯეა. ჩვენ შევხარით ჩვენს  
ახალს ეპისკოპოზს სასოებით და  
იმედითა, იმიტომ რომ თქვენი  
გაზდილია, თქვენი სულიერი შვი-  
ლია და ყოველი მზგავსი მზგავსა  
ჰმოხოს, ნათქვამია.

„თქვენს გაზდილს დიდი და ეკ-  
ლიანი გზა უდევს წინ, თუ სიყ-  
ვარულს ქვეყნისას თქვენებრ წინ  
წამიძღვარებს და მსახურება მისი  
მსახურება იქნება ქვეყნისა. ეს გზა  
გზაა საკუთარის თავის გაწირვისა,  
წამებისა, ნამეტნავად ჩვენში, სა-  
ცა უმადურება და კილვა ისე ხში-  
რია, როგორც არსად. ჩვენ იმედი  
გვაქვს, რომ თქვენი გაზდილი,  
თქვენი გაწურთილი არა ეკალს  
არ შეუშინდება და თქვენს მაგიე-  
რობას გაგვიწვეს. მაგიერობას-  
მეთქი!.. მომიტყევთ, გული კაცი-  
სა ხარბია: ჩვენ მეტი გვენატრება.  
ნუ თუ თქვენ თითონ არ ინებებთ,  
რომ თქვენის გაზდილისაგან მეტი  
მოვითხოვოთ, მეტი მოვილოდი-  
ნოთ. თქვენ მამა ხართ და ეგ  
თქვენი შვილია. და რადგანაც ის  
ურჩენია მამულსა, რომ შვილი  
სჯობდეს მამასა, ჩვენ დარწმუნე-  
ბული ვართ, რომ თქვენ თვითონ  
ჩვენზე უფრო მეტის ნატვრით ინატ-  
რებთ, რომ თქვენი გაზდილი თქვენ  
დაგეგობინოთ ჯერ ღვთითა და  
მერე თქვენისავე კურთხევითა, ამი-  
სი, ამ ჩვენის კანდიერის რწმენის  
თავმდები და საბუთი თქვენი მა-  
მული შვილური სიყვარულია, რომ-  
ლის წინაშე ქედს იხრის ყოვე-  
ლივე სხვა პირადი გრძნობა პატიო-  
სანის კაცისა.

„ჩვენო მართლად საყვარელო  
და ღირს სახსოვარო მღვდელ-მთა-  
ვარო! თქვენ აქედამ მიბრძანდე-  
ბით, მაგრამ ღვთის მაღლით, ჩე-  
ნის ქვეყნიდამ კი არა. იქაც ჩვენი  
ქვეყანაა, ჩვენი ერია, ჩვენი ძმები  
არაიან. ჩვენ აქ ვიხარებთ, რომ  
გზა მშვიდობისა მოგახსენოთ და  
თქვენს წინაშე ღმერთს ვსთხოვოთ  
თქვენი დღე-ღამეობა და თქვენ-  
გან ღმრთილოდ. მოვიერთმე-

ვია მცირეოდენი ძღვენი ესე ჩვენ-  
და სახსოვარად კი არა. ჩვენ უამი-  
სოდაც გცხსომებით მთელს საქარ-  
ველობთან ერთად, რადგანაც შვი-  
ლი ვართ საქართველოსი, რომ-  
მელსაც დღეთა თქვენთა სწირავთ  
ერთგულდებობა და სიყვარულითა.  
მიიღეთ ნიშნად ჩვენის გულითა-  
დის მაღლობისა და უღრმესი პა-  
ტივისცემისა და გიხაროდენ, რომ  
შენის ქვეყნის შვილინი მოიწიფენ  
იმოდენად, რომ შეძლებინამებრ  
მაღლობას უხდიან მაღლობის ღირს  
კაცსა. გიხაროდენ, იმიტომ რომ  
ესეც ერთი ფების წინ წადგმაა,  
ერთის საფეხურით ზე-აღსვლაა  
თქვენის ქვეყნის შვილებისა, რად-  
განაც მარტო ბრძამ და უკეთურმა  
არ იცის სხვის სიკეთის და-  
ნახვა, სხვის ღვაწლის დაფასება.

„თქვენ მიბრძანდებით ჩვენგან  
და ვწუხვართ, რომ ჩვენ გვეზო-  
რდებით, მაგრამ ჩვენთა იმიერ ძმა-  
თა სიყვარული ანელებს ჩვენს მწუ-  
ხარებას და გვამხნეებს ჩვენ. ჩვენ-  
გან მეტის-მეტი გულ-მვირობა იქ-  
ნებოდა, რომ ეს ასე არ იყოს.  
ჩვენ ვწუხვართ თქვენს წასვლას და  
გვიხარებთ თქვენი იქ მისვლა. ჩვენ  
გვაკლდებით და, ღვთის მაღლით,  
იქ შეემატებით. ყველგან ჩვენს  
ქვეყანაში საქიროა იმისთანა კა-  
ცი, რომლის მიხედვით და მაგა-  
ლითით იწურთვება ხასიათი, იწ-  
მიდება გრძნობა და გული ადამია-  
ნისა. უხაროდეთ მათ, საცა თქვენ  
მისდინართ და ჩვენ ეს არა გვეშურს,  
რადგანაც იქაც ჩვენები არაიან.  
თუნდ ესეც არ იყოს, თქვენი  
ცხოვრება სათნოების სკოლაა ჩვენ-  
თვის და ამიტომაც მარტო ერთი  
ხსენებაც თქვენის სახელისა ჩვენი  
მწვრთნელია. რა ბედნიერიაო  
იგი კაცი, რომელიც გვეწურთის  
და გვასწავის ჩვენ არამც თუ ჩვენ-  
თან ყოფნით, არამედ მარტო თვი-  
სის სახელის ხსენებითაცაო, ამ-  
ბობს ნატვრით ერთი ძველი ბრძე-  
ნი ამისთანა ბედნიერი ხართ  
თქვენ. იყვენით კვლავაც ესე ბედ-  
ნიერ ჩვენდა თავ-მოსაწონებლად  
და ნუ მოაკლემთ თქვენს ლოცვა-  
კურთხევას, თქვენს ღვაწლს თქვენს  
საყვარულს ქვეყანასა. საცა გინდ  
ბრძანდებოდეთ, აღიღეთ კვერთხი ესე  
და წარიყვანეთ ერი შენი გზასა სი-  
მართლისასა და სათნოებისასა.

„დავლოცე და შენის მაღლიან  
ხელით გვაკურთხე შენი მაღლობ-  
ბელი და შენ მიერ ღვაწლ-დე-  
ბული“.

### თაბრის მათიანი

ბათომი. ქართული წარმოდგენა.  
ბათომელ ქართველობას გვეწვია  
ქუთაისელი დრამატული დასი და  
ამ თვის 14 და 17 წარმოდგინა  
რკინის თეატრში პირველად „ედ-  
მონდ კინი“, დრამა ა. დიუმასის,  
თარგმნილი ვ. გუნიას მიერ. სა-  
ზოგადოდ წარმოდგენამ მშვენიერ-  
ად ჩაიარა, ვლ. ალექსეევ-მესხი-  
შვილმა თავისი მოხდენილი თამა-  
შით კინის როლში საზოგადოება  
აღტაცებაში მოიყვანა და ჩვენი  
ნიჭიერი მსახიობი „ვაშას“ ძახი-  
ლით და ტაშის ცემით რამდენჯე-  
რმე გამოიწვიეს სცენაზედ.  
17 თამაშებს „ცხოვრების გმი-  
რი“ დრამა კარევისა, თარგმანი

ზ. ჩიკვაძისა და „მშვენიერი ელე-  
ნეს მაძიებელი“, ფრანკო-მოქმედ-  
მედებად ა. ცაგარლისა, ცხოვე-  
რების გმირში „სასტიკის დამარ-  
მედი“ (პეტრეს როლში),  
აგრეთვე ბ. ბალანჩივაძეც. კარგი  
იყო აგრეთვე ქ-ნი ჩხეიძე მარია  
ალექსანდროვნას როლში; ეს ჯერ  
ახალგაზდა მსახიობი ქალი სავესე  
ჯანითა და იმედებით. უსურვებთ მი-  
სი ნიჭის გაფართოებას და იმედიც  
უნდა ვიქონიოთ ამისი, რადგან  
მისი ნიჭი იშლება და იფურჩქნება  
ვლ. ალექსი-მესხი-შვილის ხელმძღ-  
ვანელობით. „ცხოვრების გმირმა“  
ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა  
საზოგადოებაზე, რომ ქვეთინი და  
კვენსა მკურთხელებისა უერთდებო-  
და მოთქმა-გოდებას უბედური მო-  
ხუცი მამისა (ბალანჩივაძე), კვენ-  
სას და ცრემლთა ღვრას მარიამი-  
სას (ქ-ნი ჩხეიძე) და სასიკვდილოთ  
მივარდნილ პეტრეს (ვლ. ალექსი-  
მესხი-შვილის) მის-უსტებულს ხმას.  
საუცხოვო და ყოველ, თუნდ ბო-  
როტ; ადამიანის გულში ღრმად  
ჩასაწლომი იყო ის წამი, როდესაც  
მისუსტებული ხმით, ეს ოდესღაც  
ს. ცოცხლით სავესე ახალგაზდა კა-  
ცი, მაგრამ უსამართლო დენისა-  
გან ახლა ლოგინად ჩავარდნილი  
ფერ-მიხილილი ნაწყვეტ-ნაწყვეტად  
ეუბნება თავის საყვარელ არსებას:  
წადი, ჩემო ცხოვრებავ, დაუქარ,  
გამაგონე ხმა ციური, რომ შორს,  
შორს წარმიტაცოს ფიქრებმაო.  
იგიც თვალ-ცრემლიანი, გულ-აღ-  
ვრული მიდის და უსრულებს წა-  
დილს. მოისმის მართლა რომ ცი-  
ური ხმები, იმ მომენტის შესაფე-  
რი. მარიაში ათავებს, გამოდის  
კვლავ თვალ-ცრემლიანი, მიდის  
პეტრესთან, მაგრამ სად არის პეტ-  
რე? პეტრესი მხოლოდ მკედარი  
ლემი-ლა დაჰხვდა... ის გაპარულია  
საუცხოვო ხმებთან ერთად! მარია  
შეჰკივლებს და გრძნობა მიხილილი  
დაეშვება პეტრეს გვამზე. ამ დროს  
გამობრბის მოხუცებული, მისუსტე-  
ბული დედა და ეხვევა კვენსითა და  
მოთქმით მკედარს შვილს... ამ დრო-  
მდის საზოგადოება თავ-დაჭერილად  
კვენსა, ახლა-კი ვეღარ შეიკავეს  
თავი და თეატრის დარბაზი ყრუ  
გმინვამ მოიცვა.

„ედმონდ კინზედ“ საზოგადოება  
საკმაო იყო, „ცხოვრების გმირზე“  
ძალიან ცოტა, თუმცა წარმოდგე-  
ნა საქველ-მოქმედო მიზნით იყო.  
(მესამედი შემოსავლისა აქაურ სა-  
კვირაო სკოლის სასარგებლოდ  
იყო გადაღებული): რა არის ამის  
მიზეზი? ჩვენი, ბათომელ ქართვე-  
ლების დაუდევრობა, მეტი არა-  
ფერი! ამას წინადა ვაზეთში ამო-  
ვიკითხე: განჯაში თუ ბაქოში არ  
მახსოვს კარგათ, ქართული წარ-  
მოდგენა გაემართათ და 2,000 მ.  
შემოსულიყო! „ვაშა! აქაურს ერთ  
მუქა ქართველებს და ვაშა ბათო-  
მლების დაუდევრობას და ძილს“!

ი. გ.

აკაკის სურათი  
ფერად წამლებით დახატული  
ალმ. ბაჩიძის მიერ  
იუილება „ცნობის ფურცლის“  
რედაქციაში. (3-3)

# დებეშები

(რუსეთის დებეშთა სააგენტოსაგან).

19 მაისი

**ვახუშტის დებეშები.** კავკასის მთავარი შტაბის უფროსის თანამშემწე დენერალ მაიორი ოდინცოვი დაინიშნა ყარსის თემის სამხედრო გუბერნატორად.

**ვახუშტის დებეშები.** შლეისაგან დებეშით ცნობა მიღებული, რომ ისპანეთის ესკადრა სანტ-იაგოში იმყოფება.

**მადრიდის ვახუშტები.** კაცხავენი იმ საშუალებას, რომლით ინგლისელები ნეიტრალიზაციას ეწევიან, რადგან გემი „გარვარდისათვის“ ნება მიუციათ 600 ტონი ნახშირი წაეღოთ იაპონიადან.

## ბანსკალეზანი

ქართულთა ამხანაგობის გამომცემანი

ისტიდება საკუთარ კოლსში, ქაშეთის ეკლესიის პირდაპირ, ბაღის კუბუკულში

თსხულებანი ა. ვახუშტის (მარხუბარძის) ავტორის სურათით და იგოვე მე-IV ტომი მშენებლის ქადაგებულ და მშენებელსავე უდიდ (თითო) . . . . . 2—50

თსხულებანი ბ. დავითაშვილის სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმულით . . . . . — 80

იგოვე მშენებლის უდიდ . . . . . 1—25

დასადა და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილის, ლეკებდ-ზედას ბაჩხალისა . . . . . 25

სახურთა ზღაპრები I ნაწილი „ფიშის კარგს ქადაგებულ, მშენებლის უდიდ . . . . . 2—50

იგოვე ტომი III . . . . . 1—

იგოვე ტომი IV, იხს, ორი წიგნი . . . . . 1—60

იგოვე კარგს ქადაგებულ მშენებლის უდიდ . . . . . 3—

ჩინგი . . . . . 1—

სოფლის კუბუკულა, დ. მახს-ნელისა . . . . . 0 20

თსხულებანი ვაკის, ტომი I . . . . . 1—

იგოვე კარგს ქადაგებულ მშენებლის უდიდ . . . . . 2—50

იგოვე ტომი II . . . . . 1—

იგოვე კარგს ქადაგებულ მშენებლის უდიდ . . . . . 2—50

არაგვის, სხვა ორთული წიგნი, მშენებლისთვის . . . . . — 57

სიბრძნე-სიტყვე, მისივე . . . . . 1—50

იგოვე კარგს ქადაგებულ მშენებლის უდიდ . . . . . 1—50

თსხულებანი რ. ერისთავის, ტომი I, სურათით . . . . . 1—

იგოვე-არაგვის, მისივე . . . . . — 20

ღვინის დებეშები, ბრძოლისთვის . . . . . 2—50

და-მშენებლის მშენებლის ქ. ტფილისში თ. ა. ვახ-მე-მშენებლის-ორთულითისა . . . . . — 25

საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო, ვ. ზეიტლინი . . . . . — 40

მეოვე დავით აღმაშენებელა და მისი დრო, ისტორიული მონოგრაფია ნ. ურბელისა . . . . . — 50

იგოვე, რომანი ვალტერ სკოტის . . . . . 1—

ბეჭდვითა და მხედობით, რომანი ვ. სუვერდის, . . . . . 1—50

დასტურ-ღამა თსხულებანი ნიკოლოზ დავითისა . . . . . — 25

განორიელ კვინიტაძის იმერე-

თის, სურათით . . . . . — 30  
სიბრძნე ბადაგარისა . . . . . — 30  
(100—73)

## ტფილის-არსის შუა რკინის გზის გაყვანის საბუ-შაო გაგებუბა

იწვევენ ეველან მსურველებს, ვინც კისრად იდებენ გზის გაყვანის საბუშის სანაინიდად (მე-103 კერსი ტფილის-ურსის გზის) ტფილისის გუბერნიის ბორჩხლოს მხარის სოფ. უსუნელიანის გზის განსაგებად.

გზა უნდა გაიჭრას ნ არმინის სიგანისა და იმ გვარად უნდა იქმნას მდლობებზე დაქნილი, რომ სამ-ცხუნინს ეტლის თავისუფლად შეეძლოს 25 ფუთიანი ბარგის ზიდვა. გზის მოქვიშა საჭირო არ არის, მხოლოდ უნდა მოიყინოს რელით, რომელიც ამონახრედად იდებებში იმოკვება. კლდეებზე კი უსწორო ადგილები უნდა მოიყინოს კლდის ნახტურებით.

კლდეების ამოყვანა გზის შესამკურებლად საჭირო არ არის. იქ კი, სადაც აუცილებლად საჭირო იქნება ღიანდაგის ნაწილის შემაგრება, იმისთანა ადგილებში, სადაც უკლებლობა იმ გვარად იქნება დაქნილებული, რომ გზის ვერ დაიჭრის, უნდა გარედგან მიუშენდეს შესამკურებელი კლდეები იმ მხალდით, რომელიც იმოკვება იმავე გზის მუშაობაშივე ციციბობების განსწორებაში, მთის წველის განსაგებობა, სადაც საჭირო იქნება, მდლობის მხრიდან უნდა დარები დაედვას; ამ გვარად დარები უნდა დას-

ტანდეს ღიანდაგის ქვეშ, სადაც საჭირო იქნება წველის გაშვება, ეს უკანასკნელი დარები უნდა მოქვიშებული იყოს სველიად სადაც საჭირო იქნება, უნდა გაშენდეს სიდეები მძრალი ხისხეცნ.

მსურველთა ნება ეძლევათ იკისრონ ამ გზის გაყვანა. გზის მისცენ ისეთი მიმართულება, რომელსაც თითონ მოსურველებს და დანიშნონ ფასი მთელი გზის შემუშავებისა.

სამუშაოს ადების წინადადებას გამოცემა მიიღებს იმ ზიროთაგან, რომელნიც უკვე ცნობილი ადანი მისთვის, როგორც სინდისიერად აღმასრულებელი თავიანთ ნაკისრი მოვალეობისა; და ან იმათაგან, რომელთაც შეეძლებათ მოწოდება წარმოადგინონ სამართლებლო ან სასოკადო დაწესებულებიდან იმახედ, რომ მათი ღირსეულად შეასრულეს უკანასკნელ სუთი წლის განმავლობაში ნაკისრი სამხრებელი საქმეები.

წინადადებასთან ერთად გამოცემაში უნდა წარმოადგინოთ იქმნეს ბეთ 10% იმ ფულით, რამდენსაც დააფასებს თითონ მსურველი გზის გაყვანის და მოქვიშების, განცხადებების წარმოდგენის ვადა დანიშნული 10 ივნისი 12 საათი დღისა. თითონ მუშაობა უნდა გთავუბულ იქმნას 1 დეკემბრამდე 1898 წლის (3—3)

## კურსი ბუხგალტერიის

სთაიხი იხვ სტდუოიხი ქრემთოვ:

- 1) ბუხგალტერიის დოიოი იტალიანსკოი პო რაზნიჩ ოტრასლია ტორგოვი პროშიენნოსი,
- 2) კომერციის არიემეტიის (ბანკოვი და ტორგოვი ოპერაიი),
- 3) არიემეტიის ნა სჩეტაქ.
- 4) კომერციის ეკონომიის,
- 5) ტორგოვიხ და ვეკსელნიხ უაკონენი — რეპოდაქტ ი. ა. ბრონე ფონე-ბრენერე, გლ. ბუხგალტერე ობშ. ვაიმინ. სელ. ხოზ. კრედიტა და პრეოდ. სკოლი სადოვოდსტვა.

პლატა ზა ვესე კურსე 60 რუბ.

კურსე 3-მესიანი, პრი ეჟედნევიხ ზანიტიაქ ვე ტეჩენე 2-ხე ჩასოვე, პო ვეჩერამე. ნაჩლო ზანიტი — 1-ე ჩისლო კაჟდაგო მესიამ ატტესტატი ზა უსტეხნია ზანიტი ოტ რეალიანო უჩილია და სკოლი სადოვოდსტვა.

სოსტავლენია ი. ა. ბრონე ფონე-ბრენერე კიბა «კომერციის არიემეტია» სთარჟიქ ვე სებე VII ოტდელოვე: 1) არიემეტია, ვეჩისლენია ნა სჩეტაქ, 2) მონეტარია ვეჩისლენია, 3) ტოვარნია სტეჟკი, 4) ვეკსელნია ოპერაიი, 5) ტომგოვია ტოვარნიეცტვა, 6) ბანკი და იხე ოპერაიი, 7) ბირჟევია ოპერაიი 20 (5 ზაუდაქ და ტაბლიცა). ცენა 2 რუბ. პროდაქტე ვო ვესეხ კნიჟნიხ მაგაზინე აიხ ვტორა: მიხაილოვსკაი ულ., დ. № 71, და ბარიტინსკაი, სელსო-ხოზ. ბანკი.

(100—9)

На 1898 год продолжается подписка на иллюстрированное ежемѣсячное издание **НОВЫЙ ЖУРНАЛЪ ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ ИСКУССТВА и НАУКИ**

**Болѣ 1.500 иллюстрацій на лучшей бумагѣ**

Въ вышедшихъ трехъ книгахъ (январской, февральской и мартовской) а 350 иллюстраціями напечатаны: **33 стѣтъ** тсовременнаго интереса, по литературной критикѣ, по вопросамъ общественнымъ и научнымъ.

**Иллюстрированная заграничная хроника:** болѣе 55 статей и замѣтокъ по современнымъ темамъ; изъ прошлаго, литературныхъ художественныхъ и научныи новостей; хизъ артистическаго міра, изъ иностранной журналистики и прочее.

**СЪ ОСОБОЮ НОМЕРАЦІЕЮ СТРАНИЦЪ:**  
ЧЕЛОВѢКОЛЮБІЕ—ИСТИНА—ПРАВОСУДИЕ (письмо къ Франціи ЭМИЛЯ ЗОЛА.  
ПЕРЕПИСКА РЕНАНАІСЪ БЕРТЕЛО (О положеніи Франціи послѣ 1870 г.)  
ПИСЬМО ЭМИЛЯ ЗОЛА КЪ ФЕЛИКСУ ФОРУ.  
**ПРОЦЕССЪ ЭМИЛЯ ЗОЛА** (Подробное описаніе 16-ти сѣданій суда, изъ 1-го дебр. 1898 г. съ иллюстраціями).  
**РОМАНЫ, ПОВѢСТИ И РАЗСКАЗЫ: ОПОРА СЕМЬИ.** Романъ Альфонса Додэ.  
АРИЖЪ. романъ Эмиля Зола.—СЕНЪ-МАРСЪ или заговоръ въ Рцарствѣ ІІ Пе Людовика XIII. АЛЬФРЕДА ДЕ-ВИНЬИ (съ рисунками).—А АФНЪ историческій романъ георга эбберса.—ПРИКЛЮЧЕНІЕ ПОДЪ ИНОЕВЪ ГОДЪ. Пазскаѣ цощоке.—ДЯДЯ ДЖИМЪ И ДЯДЯ БИЛЛИ .СИ-ОВЪ вѣстъ бреть гарта.—ЖИЗНЬ И СМЕРТЬ 4 разсказа амброаза бирава англійскаго)—КАКЪ Я ПОМОГАЛЪ СВОИ СУДЬБѢ И ЧТО ИЗЪ ЭТО ВЫШЛО. Юмористическій разсказъ СТОКТОНА (съ англійскаго). Ст. Фьрвалскаі крѣи печатаетса ІЕНЪИ ПЕРЕОДЪ а намеиной а П Р А Б Л Э

**Необычайно дикий жизни Гарагантюа**  
(Съ Французскаго текста XVI вѣка) СЪ ИЛЛУСТРАЦІЯМИ ДОРЭ РААЛЮ—родоначальникъ новѣйшаго реального романа. Воодушевленные новыми просвѣдительными идеями Возрожденія Раблэ въ фантастической формѣ сказочнаго вымысла аатрогиваетъ множество вопросовъ общественаго значенія осмѣиваетъ заблужденія и пороки своего вѣка, предрасудки, угнетавшіе мысль и свободу личности, ратуеть противъ нетерпимости, схоластики и шарлатанства въ наукѣ. Его эпопея отличается занимательностью картинчатствомъ идейнаго содержанія, характерными образатаи, живыми діалогами, беллетристичнымъ юморомъ, каламбурами, шутками и остроуми.

**РИССУНКИ ГУСТАЕА ДОРЭ**, иллюстрирующеі шагъ за шагомъ текстъ Раблэ въ его мельчайшихъ подробностяхъ, сами по себѣ составляютъ замечательное явленіе въ области французскаго художественнаго творчества, принадлежатъ къ наилучшамъ произведеніямъ этого знаменитѣйшаго изъ рисовальщиковъ XIX вѣка.

Въ ближайшихъ книгахъ будутъ испечатаны, сверхъ того переводы немалыхъ на рускомъ яз. сочиненій: **ЖАНА ПОЛЯ РИХТЕРА, А. ТРОЛОПА** (Романъ ОЧЕРКИ ГЮИ ДЕ МОПАСАНА, ИЗБРАННЫЯ ПРОИЗВЕДЕНІЯ СТЕНДАЛЯ, НОРМАНЫ ВЪ ВИЗАНТІИ (Историч. романъ) Повѣсти и разсказы новѣйшихъ французскихъ новеллистовъ англійскихъ, американскихъ и польскихъ юмористовъ. художественная историко-литературная монографія „**женщина въ искусствѣ**“ (болѣе 300 гравюр).  
Парвая книга «Новаго журнала Иностранной Литературы» печатается вторымъ изданіемъ.  
Подписная цѣна на 1898 Г.:  
Годовая (съ 1-го января 1898 г.) Безъ доставки 4 Р., съ Доставкой 5 Р.,  
1898 г.) Безъ доставки 2 Р., 50 К., съ доставкой 3 Р.,  
Без до- ставки Полугодовая  
годовые подписчики на 1889 годъ бесплатно получаютъ начало романъ „Э. ЗОЛА ПАРИЖЪ“.

Для г. г. служащихъ въ правительственныхъ и общественныхъ учрежденияхъ допускается разсрочка за поручительствомъ ихъ казначеевъ.  
Подписка принимается ВЪ РЕДАКЦІИ «НОВАГО ЖУРНАЛА ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ»—С.-Петербург, Конногвардейскій бульваръ, въ книжномъ магазинѣ «Новаго Времени» (Невскій, 38). ВЪ МДСКВѢ въ конторѣ Н. Печковской (Цетровскія линии), гдѣ для московскихъ подписчиковъ допускается разсрочка, а также принимается только годовая подписка безъ доставки въ Москвѣ—Ц. 4 Р. 50 К. Иногородніе и подписчики въ разсрочку благоволятъ адресоваться въ редакцію «НОВАГО ЖУРНАЛА ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ» (С.-Петербург, Конногвардейскій бульваръ, 13) (12 2) Редактор-издатель Г. И. БУЛГАКОВЪ.

**Первоклассные Велосипеды „ЭНФИЛЬДЪ“**

Главный Складъ для оптовой и рознич. продажи Торговый Домъ **ДЕВИСЪ и АЛЕКСѢЕВЪ**

МОСКВА, Рождественка, ут. Кузнец. мд. Третьяковъхъ. ТРЕБУЙТЕ КАТАЛОГИ.